სამაგისტრო პროგრამის დასახელება: საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ეკონომიკის მაგისტრი (საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები) (MA in International Economic Relations)

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ლარისა ყორღანაშვილი

1. მოდული „ ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობები", ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი

2. მოდული „ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობები" , ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი

3. მოდული „სკანდინავიის ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობები", ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი

4. მოდული „ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობები", ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ეკა სეფაშვილი

5. მოდული „იაპონიის ეკონომიკური ურთიერთობები", ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ეკა სეფაშვილი

6. მოდული „რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობები", ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი

<u>სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება</u>

- <u>მიზანი და აქტუალურობა</u>

პროგრამის მიზანია შრომის მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ინტეგრირებული, სისტემური, ფუნდამენტური თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აზროვნების დამოუკიდებლობა და შემოქმედებითი ხასიათი, გლობალურ გარემოში მუშაობის უნარ-ჩვევები.

სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების შერწყმას, რის შედეგად კურსდამთავრებულს ეძლევა თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრირებული და სინთეზირებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების სპეციალიზაციის შესაბამისად.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამით სპეციალისტთა მომზადების აქტუალურობა განპირობებულია გლობალიზაციის პროცესების ინტენსიფიკაციით, რის შედეგად იზრდება სახელმწიფოთა ურთიერთკავშირები, ფირმების საქმიანობა კი ეროვნულ საზღვრებს სცილდება. საერთაშორისო ურთიერთობებს განსაკუთრებული მნიშნელობა აქვს ისეთი მცირე ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობა გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში სუვერენული სახელმწიფოს ინტეგრირებისა და საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების

ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობას იძლევა. პროგრამა ეფუძნება მსოფლიო და რეგიონული ეკონომიკის თანამედროვე თეორიასა და პრაქტიკას, გლობალიზაციის, ტრანსნაციონალიზაციისა და კულტურათაშორისი მიდგომების გათვალისწინებით.

- <u>სწავლის შედეგები</u>

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მაგისტრის ხარისხი ენიჭებათ სტუდენტებს, რომლებსაც გააჩნიათ ზოგადი/ტრანსფერული და ცოდნის გამოყენების პრაქტიკული უნარები, გააზრებული და გაცნობიერებული აქვთ ცოდნის ყველა ასპექტი შემდეგი მიმართულებებით:

1. ცოდნა და გაცნობიერება.

1.1. გააჩნიათ ბაკალავრიატში მიღებულ განათლებაზე დაფუძნებული და გაღრმავებული ცოდნა საერთაშორისო ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში, რაც უზრუნველყოფს იდეის ორიგინალური განვითარების ან გამოყენების შესაძლებლობებს;
1.2. აქვთ ფუნდამენტური ცოდნა საქონლის, წარმოების ფაქტორებისა და ფინანსური აქტივების საერთაშორისო მოძრაობის კანონზომიერებათა შესახებ, შეუძლიათ ამ ცოდნის ინტეგრირება საერთაშორისო ეკონომიკის თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით;
1.3. ფლობენ საერთაშორისო ეკონომიკური, სავაჭრო, ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს და შეუძლიათ მისი დამოუკიდებლად წარმართვა;
1.4. გააზრებული აქვთ თანამედროვე გლობალური ეკონომიკური პროცესები, აცნობიერებენ გლობალიზაციის დადებით და უარყოფით მხარეებს, მის გავლენას ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების ეკონომიკაზე;
1.5. გაცნობიერებული აქვთ მსოფლიო სამეურნეო კავშირების გაღრმავებისა და საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის აუცილებლობა;
1.6. ფლობენ ცოდნას ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების ეკონომიკის, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ბიზნეს-გარემოს შესახებ.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები

2.1. გააჩნიათ გლობალური ეკონომიკური ტენდენციების ანალიზის, მიღებული შედეგების შეჯერებისა და სინთეზის, განზოგადებული დასკვნების გაკეთებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი და კომპეტენცია;
2.2. შეუძლიათ თავიანთი დასკვნების საჯარო წარმოდგენა, მათი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან;
2.3. გააჩნიათ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სხვადასხვა სფეროს შესაბამისი სპეციალური კომპეტენცია, კრეატიული და ინოვაციური საქმიანობის უნარ-ჩვევები;
2.4. გააჩნიათ გლობალური ეკონომიკური პრობლემების, ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების ბიზნეს-გარემოს ანალიტიკური კვლევისა და საექსპერტო შეფასების უნარ-ჩვევები;
2.5. შეუძლიათ ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების ბაზრებზე მუშაობა და ეფექტიანი ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღება;

2.6. გააჩნიათ ქვეყანათაშორისი კავშირებბის ეფექტიანობის შეფასების ანალიტიკური უნარ-ჩვევები.

3. ზოგადი/ტრანსფერული უნარები

3.1. კოგნიტური უნარები: საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი იდეებისა და აზრების გაგებისა და მანიპულირების შესაძლებლობა, ანალიზისა და სინთეზის უნარი;

3.2. ტექნოლოგიური უნარები: ტექნოლოგიური მოწყობილობების, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებისა და ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი, სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და ანალიზის უნარი;

3.3. სოციალური უნარები: საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური და ინტერპერსონალური ურთიერთობების, ჯგუფური მუშაობის, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის უნარი;

3.4. ლინგვისტური უნარები: ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ და არანაკლებ 2 უცხო ენაზე.

3.5. ისეთი უნარ-ჩვევები, რაც დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებისა და დამოუკიდებელი მეცნიერული კვლევის საშუალებას იძლევა.

- <u>**დასაქმების სფერო.**</u>

მაგისტრატურის კურსდამთავრებულების საქმიანობა დაკავშირებულია საერთაშორისო ეკონომიკურ, სავალუტო-საკრედიტო და საფინანსო სფეროებთან, დიპლომატიურ სამსახურებთან, ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობასთან. კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ ეკონომისტებად, ფინანსისტებად, კონსულტანტებად, ექსპერტებად საერთაშორისო ორგანიზაციებში, სახელმწიფო დაწესებულებებში, სახელმწიფო და კერძო საკუთრების საერთაშორისო და ეროვნულ ფირმებში. კერძოდ, ტრანსნაციონალურ კორპორაციებში, საერთაშორისო ბანკებსა და სხვა ფინანსური დაწესებულებებში, სახელმწიფო დაწესებულებებში (პრეზიდენტის აპარატი, პარლამენტი, სამინისტროები, საელჩოები, სავაჭრო წარმომადგენლობები), საერთაშორისო ორგანიზაციებში (გაეროს, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და ა. შ. სტრუქტურებში), საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საერთაშორისო არასამთავრობო დაწესებულებებსა და ყველა იმ ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობა ეროვნულ საზღვრებს სცილდება.

- <u>**სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები :**</u>

2-წლიანი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული დიპლომი. პრაქტიკული გამოცდილების სტაჟი არაა სავალდებულო.

კონკურსანტი აბარებს მისაღებ გამოცდებს სპეციალობასა და უცხო ენაში (არანაკლებ 1 დონე). მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების ჩატარების წესები განსაზღვრულია თსუ ადმინისტრაციის მიერ.

სამაგისტრო პროგრამის სწავლების ენებია: **ქართული, რუსული და ინგლისური.**

- <u>სამაგისტრო პროგრამაზე მიღების საგამოცდო საკითხები</u> :

1. მსოფლიო მეურნეობის ცნება და ძირითადი სუბიექტები
2. მსოფლიო სამეურნეო მექანიზმი
3. მსოფლიო ეკონომიკის ფორმირების ეტაპები
4. ქვეყნების კლასიფიკაცია მსოფლიო ეკონომიკაში
5. ტრანსნაციონალური კორპორაციების გენეზისი და ევოლუცია
6. ტრანსნაციონალური კორპორაციები და მონოპოლიზაციის პროცესები
7. სტრატეგიული ალიანსები
8. სამეურნეო ცხოვრების ტრანსნაციონალიზაცია, ინტერნაციონალიზაცია და გლობალიზაცია
9. გლობალიზაცია როგორც მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენცია
10. მსოფლიო მეურნეობის განვითარების ძირითადი ტენდენციები
11. განვითარებული ქვეყნები მსოფლიო ეკონომიკაში
12. განვითარებადი ქვეყნები მსოფლიო ეკონომიკაში
13. ახალი ინდუსტრიული ქვეყნები
14. მსოფლიო ეკონომიკის ბუნებრივი რესურსები
15. მსოფლიო ეკონომიკის ცივილიზაციური რესურსები
16. მსოფლიო ეკონომიკის ფინანსური რესურსები
17. კაპიტალის გატანის ფორმები
18. საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის არსი და მიზნები
19. საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის ინსტრუმენტების მნიშვნელობა და კლასიფიკაცია
20. საერთაშორისო ვაჭრობის არსი და თავისებურებები
21. საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის არასატარიფო ზომები
22. ლიბერალური და პროტექციონისტული სავაჭრო პოლიტიკა: მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტები.
23. სავაჭრო პოლიტიკა და განვითარებადი ქვეყნები
24. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია
25. თავისუფალი ეკონომიკური ზონები
26. ევროპული ინტეგრაციის ეტაპები
27. ჩრდილო-ამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ზონა
28. საერთაშორისო სავალუტო სისტემის განვითარების ეტაპები
29. ვალუტა და ვალუტის კურსი
30. გაერო – მიზნები და სტრუქტურა
31. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
32. საერთაშორისო სავალუტო ფონდი
33. მსოფლიო ბანკის ჯგუფი
34. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია
35. სახელმწიფოს როლი თანამედროვე მსოფლიოში
36. განვითარების ამერიკული მოდელი
37. განვითარების იაპონური მოდელი
38. სიღარიბის პრობლემა თანამედროვე მსოფლიოში
39. გლობალური დემოგრაფიული პრობლემები
40. გლობალური პოლიტიკური პრობლემები

ლიტერატურა

1. მსოფლიო ეკონომიკა. გ. თოდუას და შ. ვეშაპიძის რედაქციით. დამხმარე სახელძღვანელო. თბილისი, 2001.
2. მოვსესიანი ა. გ., ოგნივცევი ს. ბ. მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო. თბილისი, 2004.
3. მსოფლიო ეკონომიკა (ლექციების კურსი). შემდგენელი შ. ვეშაპიძე. თბ., 2004
4. პიტერ ჰ. ლინდერტი. საერთაშორისო ეკონომიკა. თბ., 2001
5. პ. კრუგმანი, მ. ობსტფელდი. საერთაშორისო ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა. თბ., 2000
6. ი. გოგორიშვილი. საერთაშორისო ეკონომიკა, 2001
7. ლ. ყორღანაშვილი. საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1997
8. ლ. ყორღანაშვილი. საერთაშორისო ბიზნესი. თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998
9. ლ. ყორღანაშვილი. საერთაშორისო ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლები. თბ., 2004
10. ლ. ყორღანაშვილი. ოფშორული ბიზნესი. თბ., 2003
11. П.Кругман, М.Обстфельд. Международная экономика. Теория и политика. СПб, 2003
12. Paul R. Krugman , Maurice Obstfeld. International Economics : Theory & Policy, Publisher: Addison Wesley; 7 edition, 2006